

შპს „ლესულუხეჰესი“

მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე
წაჩხურაზე 5,0 მგვტ „ლესულუხე ჰესი“-ს
მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის

ნარჩენების მართვის გეგმა

თბილისი, 2023

სარჩევი

1	შესავალი	3
2	ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	3
3	ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	4
4	ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ	5
5	ნარჩენების მართვის ღონისძიებები	8
5.1	ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები	8
5.2	წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება	9
5.3	წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირება	10
5.4	წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები	11
5.5	წარმოქმნილი ნარჩენების დამუშავების მეთოდები.....	13
5.6	ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომები და სწავლების ღონისძიებები	16
5.7	ინფორმაცია პირების/კომპანიების შესახებ, რომელთაც ნარჩენების გადაცემით შემდგომი მართვისთვის.....	16

1 შესავალი

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა წარმოადგენს შპს „ლესულუხეჰესი“ მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე წაჩხურაზე 5,0 მგვტ „ლესულუხე ჰესი“-ს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის ნარჩენების მართვის გეგმას.

შპს „ლესულუხეჰესი“ გეგმავს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე წაჩხურაზე 5.0 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მოწყობას. „ლესულუხე ჰესი“ წარმოადგენს დერივაციული ტიპის ჰესს, რომლის მოწყობაც გათვალისწინებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესულუხესთან (სალხინოს თემი). ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძის მოწყობა გათვალისწინებულია სოფლის დასახლებული უბნებიდან 2,5 კმ.-ის მოშორებით. ხოლო სააგრეგატე შენობა მოეწყობა უშუალოდ სოფლის დასახლებული უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე წაჩხურის მარცხენა სანაპიროზე.

„ლესულუხე ჰესი“ წარმოადგენს დერივაციული ტიპის ჰესს და შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისაგან:

- ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძი, ბეტონის წყალსაშვიანი შემტორავი კაშხლით, ორმალიანი გამრეცხი რაბიტა და გვერდითი ტიპის წყალმიმღებით. სათავე წყალმიმღებ კვანძთან მოეწყობა ერთმალიანი, პერიოდული ჰიდრავლიკური რეცხვის სალექარი.
- ჰესის სადერივაციო ტრაქტი, რომელიც მოეწყობა 2,4 მ. დიამეტრის სადაწნეო მილსადენის სახით;
- ჰესის სააგრეგატე შენობა გამყვანი ტრაქტით. სააგრეგატე შენობაში განთავსდება ორი ცალი, ფრენსისის ტიპის ჰორიზონტალურღერძიანი ტურბინა, ჯამური დადგმული სიმძლავრით - 5,0 მგვტ.

2 ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საფუძველზე და მისი შინაარსი შეესაბამება- „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №211, 2015 წლის 4 აგვისტო, ქ. თბილისი - დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გეგმის შინაარსი მოიცავს:

- ინფორმაციას კომპანიის შესახებ;
- ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას წარმოქმნილი ნარჩენების (წარმოშობა, სახეობა, შემადგენლობა, რაოდენობა და სხვ.) და დამუშავების შესახებ;
- ინფორმაციას ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაციას წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების შესახებ;
- წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდების აღწერას;

- ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობებს;
- წარმოქმნილი ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომებს და სწავლების ღონისძიებებს;
- ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელსაც ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის გადაეცემა;

„ნარჩენების მართვის კოდექსის“-ს მოთხოვნების საფუძველზე, კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კილოგრამზე მეტი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება¹, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის „ნარჩენების მართვის გეგმა“.

ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა, შესაბამისად, შემუშავებულია კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს საქმიანობის უახლოეს სამწლიან პერიოდს (2023-2025 წწ)

3 ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანიის დასახელება	შპს „ლესულუხეჰესი“.
სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, N 4, ბინა 86
რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	22/08/2018
საიდენტიფიკაციო ნომერი	400245356
კომპანიის დირექტორი	მარიამ წულუკიძე
საკონტაქტო პირის ტელ	577520022
საკონტაქტო პირის ელ - ფოსტა	lesulukhe@yahoo.com

¹საქართველოს მთავრობის დადგენილება №661. 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი, „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 3:

1 ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა), ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

2. 2025 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების ვალდებულებისაგან, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ ან სხვა საქმიანობას და წლის განმავლობაში წარმოქმნის 120 კგ ან ნაკლები ოდენობის სახიფათო ნარჩენს.

4 ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

ცხრილი 4.1 ჰესის მოწყობა ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა	სახიფათოობის მახასიათებელი	წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით		
					2023	2024	2025
08	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამფარავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU)						
08 03	საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები						
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	H 5 „მავნე“	5 კგ	10 კგ	10 კგ
12	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას						
12 01	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას						
12 01 01	შავი ლითონების ჩარხვის და ქლიბვის ნარჩენები	მყარი	არა	-	50 კგ	200 კგ	200 კგ
12 01 21	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომელსაც არ ვხვდებით 12 01 20 პუნქტში (აბრაზიული ქვები)	მყარი	არა	-	10 კგ	20 კგ	20 კგ
13	ზეთის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 თავებში)						
13 01	ნარჩენი ჰიდრავლიკური ზეთები						
13 01 11*	სინთეტური ჰიდრავლიკური ზეთები	თხევადი	დიახ	H3-B „აალებადი “ H 14 „ეკოტოქსიკური“	100 კგ	500 კგ	500 კგ
13 01 13*	სხვა ჰიდრავლიკური ზეთები	თხევადი	დიახ	H3-B „აალებადი “ H 14 „ეკოტოქსიკური“	100 კგ	500 კგ	500 კგ
13 02	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები						
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	თხევადი	დიახ	H3-B „აალებადი“ H 14 „ეკოტოქსიკური“	80 კგ	250 კგ	250 კგ
13 03	საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთებისა და სხვა სითხეების ნარჩენები						

13 03 08*	სინთეტური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	თხევადი	დიახ	H3-B „აალეზადი“ H 14 „ეკოტექსიკური“	80 კგ	200 კგ	200 კგ
13 03 10*	სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	თხევადი	დიახ	H 3-B - „აალეზადი“ H 5- „მავნე“	50 კგ	100 კგ	100 კგ
15	შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში						
15 01	შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)						
15 01 01	ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	მყარი	არა	-	100 კგ	500 კგ	500 კგ
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	-	150 კგ	600 კგ	600 კგ
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	-	500 კგ	1000 კგ	1000 კგ
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	H 3-B - „აალეზადი“ H 15	50 კგ	200 კგ	200 კგ
15 02	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომელიც სხვა პუნქტებში გათვალისწინებული არ არის						
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	H 3-B - „აალეზადი“ H 5 - „მავნე“	50 კგ	200 კგ	200 კგ
15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	მყარი	არა	-	100 კგ	300 კგ	300 კგ
16	ნარჩენები, რომელიც სხვა პუნქტებში გათვალისწინებული არ არის						
16 01	განადგურებას დაქვემდებარებული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები და მწყობრიდან გამოსული და სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული ნარჩენები (13, 14, 16, 06 და 16 08-ს გარდა)						
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	მყარი	არა	-	100 კგ	500 კგ	500 კგ
16 01 07*	ზეთის ფილტრები	მყარი	დიახ	H 14 ეკოტექსიკური	50კგ	50 კგ	50 კგ
16 02	წუნდებული/მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები და მისი ნაწილები						

16 02 13*	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	მყარი	დიახ	H 14 ეკოტოქსიკური	100 კგ	200 კგ	200 კგ
16 06	ბატარეები და აკუმულატორები						
16 06 01*	ტყვიის შემცველი ბატარეები	მყარი	დიახ	H 15	300 კგ	600 კგ	600 კგ
17	სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან)						
17 05	17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი						
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	H 15	ნარჩენის რაოდენობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია ნავთობის დაღვრის რაოდენობასა და მასშტაბზე		
17 05 05 *	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი)	მყარი	დიახ	H 15	ნარჩენის რაოდენობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია ნავთობის დაღვრის რაოდენობასა და მასშტაბზე		
20	მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას						
20 01	განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)						
20 01 35*	წუნდებული ხელსაწყოები, გარდა 20 01 21 და 20 01 23 პუნქტებით გათვალისწინებული, რომლებიც შეიცავენ სახიფათო კომპონენტებს	მყარი	დიახ	H14 „ეკოტოქსიკური“ H15	20 კგ	40 კგ	40 კგ
20 02	სხვა მუნიციპალური ნარჩენები						
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა	-	10 მ³	25 მ3	25 მ3
20 03 04	სეპტიკური ავზის ნალექი	მყარი	არა	-	50 მ3	100 მ3	100 მ3

შენიშვნა: საქმიანობის განხორციელების პერიოდში ასევე წარმოიქმნება ფუჭი ქანები, რომელთა ნაწილის განთავსება განხორციელდება შესაბამისი პროექტის საფუძველზე. გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით.

საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ასევე დასაწყობდება შემუშავებული პროექტის მიხედვით, რომლის შემდგომი მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ტყეკაფის ანგარიშის მიხედვით მოჭრილი ხე-მცენარეების მართვა განხორციელდება ეროვნული სატყეო სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე.

5 ნარჩენების მართვის ღონისძიებები

ჰესის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები წარმოადგენს დიდი რაოდენობით მყარი ნარჩენების წარმოქმნის წყაროს. როგორც წესი, ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ნიადაგის, გრუნტის, ხე-ტყის (დამოკიდებულია ჰაბიტატის ტიპზე) და სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები. ჰესის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების წარმართვა მოხდება მდინარე წაჩხურას და მისი შენაკადების კალაპოტში/სიახლოვეს, რაც ზრდის წყლისა და ხმელეთის გარემოს ნარჩენებით დაბინძურების რისკებს. სამშენებლო სამუშაოების არასწორი მენეჯმენტი შესაძლოა სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნის ერთერთი მთავარი მიზეზი გახდეს, ამიტომაც სამუშაოების წარმოებისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული სწორი მידგომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და გარემოს რეცეპტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირება/აღმოფხვრა.

პროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ღონისძიებები დეტალურად მომდევნო პარაგრაფებშია განხილული.

5.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები

კომპანიის ნარჩენების მართვის პოლიტიკა ნარჩენების პრევენციისკენ იქნება მიმართული. ნარჩენების ის იერარქია, რომელიც ევროპის ქვეყნების ნარჩენების მართვის სახელმძღვანელო პრინციპია, უპირატესობას სწორედ ნარჩენების პრევენციას ანიჭებს. ნარჩენების პრევენციის ღონისძიებები დაიწყება პროექტის საწყის ეტაპზევე. შემდგომში დაგვარად ადრეულ ეტაპზე განისაზღვრება იმ მასალათა საჭიროება და რაოდენობა, რომელიც გამოყენებული იქნება სამშენებლო პროცესებისთვის. ამას გარდა დანერგილი და განხორციელებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ნარჩენების რაოდენობის შემცირება იწარმოებს ნარჩენების წარმოქმნის წყაროზევე;
- მშენებლობაში გამოყენებული იქნება მაღალი ხარისხის მასალები (არასაჭირო და დაბალი ხარისხის მასალების გამოყენება არასასურველი ნარჩენების წარმოქმნის ერთერთი წინაპირობაა);
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- ტერიტორიებზე სამშენებლო მასალების დიდი ხნით არ დასაწყობდება (ხშირად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები აზიანებს მასალებს, რომელთა გამოყენება შეუძლებელია და წარმოიქმნება ნარჩენი)
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შეძენა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანის და განთავსებაზე იწარმოებს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდება წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;

- სწორად განისაზღვრება ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერების რაოდენობა და მათი განთავსების ადგილები, რათა სამუშაოებში დასაქმებული პერსონალისთვის ადვილი იყოს მათი გამოყენება;
- სამუშაოების განხორციელებისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შერევა არ მოხდება გრუნტთან და ინერტულ ნარჩენებთან;
- შესაძლებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი ნარჩენები გამოყენებული იქნება ადგილზევე;
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევის თავიდან აცილების მიზნით, შემოღებული იქნება ნარჩენების სეგრეგაციის სისტემა;
- სახიფათო ნარჩენების განთავსებისას გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი პირობები და ნორმები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილები აღიჭურვება უსაფრთხოების და დაღვრაზე რეაგირების სათანადო სიტემით;
- ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი;
- პერიოდულად მოხდება პერსონალის ტრენინგი გარემოსდაცვისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5.2 წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

ჰესის მშენებლობის პროცესში ყველა სახის ნარჩენი შეგროვდება და დროებით დასაწყობდება სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე. ნარჩენების შეგროვება მოხდება მათი მახასიათებლების მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული იქნება შესაბამისი მოცულობისა და მასალის კონტეინერები. ნარჩენების შეგროვებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სხვადასხვა მოცულობის პლასტმასის ან ლითონის კონტეინერებში. კონტეინერების განთავსება მოხდება როგორც სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე, ასევე საპროექტო სადაწნეო მილსადენის დერეფანში;
- ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენები შეგროვდება განცალკევებულად და გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას;
- შავი ლითონების ჯართი შეგროვდება და დროებით განთავსდება სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ან კონტეინერში;
- თხევადი ნარჩენები შეგროვდება განცალკევებულად, რომელიც ასევე დროებით განთავსდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, სპეციალურ კონტეინერებში;
- სახიფათო ნარჩენები შეგროვდება განცალკევებულად არასახიფათო ნარჩენებისგან;

² ჰესის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გრუნტის დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, ნაწილი განთავსდება სანაყაროზე შესაბამისი პროექტის ფარგლებში.

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები დაგროვების შესაბამისად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას³;

ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, შეგროვებული ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებსა და დროებითი განთავსების ტერიტორიებზე დატანილი იქნება შესაბამისი ნიშნები. აღნიშნული განხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

- კონტეინერებზე, სადაც განთავსდება სახიფათო ნარჩენები დატანილი იქნება შესაბამისი, მაფრთხილებელი ნიშნები;
- ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე განთავსდება ნიშნები ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მითითებით;
- სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილებზე გამოკრული იქნება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის წესები;
- ადგილები, სადაც ნარჩენები დროებით განთავსდება (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში) ეტიკეტირებული იქნება შესაბამის მაფრთხილებელი ნიშნებით;
- კონტეინერებზე არსებული მაფრთხილებელი ნიშნების დაზიანების შემთხვევაში, დაზიანებული ნიშანი ჩანაცვლდება ახლით;
- ყველა ნიშანი, რომელიც დატანილი იქნება ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებსა და დროებითი განთავსების ადგილებზე, იქნება ადვილად წაკითხვადი, რათა პერსონალმა ადვილად შეძლოს ნიშნების შინაარსის გაგება;
- ამკრძალავი და მაფრთხილებელი ნიშნები შესრულებული იქნება მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის ეროვნების გათვალისწინებით, რათა ნიშანზე მოცემული ტექსტის შინაარსი გასაგები იყოს პერსონალისთვის.

5.3 წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირება

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში კომპანია უზრუნველყოფს წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, კერძოდ:

- **მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები** სეპარირდება სხვა ნარჩენებისგან და გარემოსდაცვითი პირობების შესაბამისად განთავსდება ნარჩენების დროებითი დასაწყობების ტერიტორიაზე;
- **მეორადი ზეთები და სხვა თხევადი სახიფათო ნივთიერებების** ნარჩენები სეპარირდება სხვა სახის ნარჩენებისგან და განთავსდება სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;
- საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ყველა სახის **სახიფათო ნარჩენი** სეპარირდება ცალკე არასახიფათო ნარჩენებისგან;
- **არსებობის შემთხვევაში**, სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი, განთავსდება მყარი საფარის მქონე გადახურულ მოედანზე ან/და

³ საპროექტო ტერიტორია ეკუთვნის მარტვილის მუნიციპალიტეტს, შესაბამისად რეკომენდებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმდეს ამავე მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურებთან.

ლითონის ჰერმეტიკულ კასრებში, რომელიც განთავსება სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ უბანზე, სათანადო წესების დაცვით;

- მიწის სამუშაოების დროს წარმოქმნილი ნიადაგი და გრუნტი განთავსდება განცალკევებულად⁴;

აკრძალული იქნება:

- ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე ხანგრძლივი დაგროვება;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სხვა სახის ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი და მყარი სახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევა;
- სახიფათო ნარჩენების შერევა სხვა სახის ნარჩენებთან, მისი ნეიტრალიზაციის მიზნით;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების დაწვა;
- სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება/გადაღვრა;

5.4 წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები

წარმოქმნილი ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად, ჰესის მშენებლობის ეტაპზე, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა ნარჩენების დროებითი განთავსების უბნები, სადაც მათი განთავსება მოხდება სათანადო გარემოსდაცვითი პირობების დაცვით.

ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის, ჰესის შენობის ტერიტორიაზე გამოიყოფა შესაბამისი დროებითი განთავსების ადგილი.

დროებითი განთავსების ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსება მოხდება არაუმეტეს 1 წლისა, რის შემდეგ ის სამართავად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიებს - შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ნარჩენების დროებითი განთავსება/შენახვის დროს უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პირობები:

- სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურად შერჩეულ კონტეინერებში;
- თხევადი სახიფათო ნარჩენები ცალ-ცალკე შეგროვდება დახურულ კონტეინერებში ან ავზებში, რომლებიც იქნება ჰერმეტიზებული და დაცული გაჟონვისაგან. თხევადი სახიფათო ნარჩენების კონტეინერები ან ავზები გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე;
- სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი დროებითი დასაწყობების ტერიტორია მოეწყობა იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ნარჩენებით გარემოზე ზემოქმედება.
- ნარჩენების ტიპის მიხედვით, შეირჩევა შესაბამისი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები დაზიანების, კოროზიის, ცვეთის და სხვ. თავიდან აცილების მიზნით.

⁴იადაგის და გრუნტის განთავსება მოხდება სათანადო პროექტის შესაბამისად

- ნარჩენებისთვის განკუთვნილ დროებითი განთავსების ტერიტორიაზე არ განთავსდება ახალი მასალები და ნივთიერებები;
- ღია ტერიტორიებზე განთავსდება მხოლოდ ისეთი ნარჩენები და მასალები, რომლებიც არ შეიცავს, ან არ არის დაბინძურებული სახიფათო ნივთიერებებით.

სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილი შესაბამისობაში იქნება შემდეგ მოთხოვნებთან:

- სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვის ადგილი გადახურული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით;
- შენახვის ადგილის ქვედა ფენა (ძირი) დამზადებული იქნება მყარი მასალისგან;
- სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, დროებითი შენახვის ადგილი აღჭურვილი იქნება მაფრთხილებელი ნიშნებით;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილები/ტერიტორიები აღიჭურვება ხანძარქრობის და ვარიულ დაღვრებზე რეაგირების სისტემით;
- კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სახიფათო ნარჩენებისთვის, შენახვის ადგილზე მოთავსდება იმგვარად, რომ ნარჩენებთან წვდომა მარტივი და უსაფრთხო იყოს;
- ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილის ფართობი საკმარისი იქნება კონტეინერების გამართვისთვის;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილს ექნება მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის

ტერიტორიის პერიმეტრზე გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები და დაცული იქნება უცხო პირების ხელყოფისაგან;

5.5 წარმოქმნილი ნარჩენების დამუშავების მეთოდები

ცხრილი 5.5.1 კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დამუშავების მეთოდები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა	განთავსება/აღდგენის ოპერაციის კოდი	ნარჩენის დამუშავება/კონტრაქტორი კომპანია
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
12 01 01	შავი ლითონების ჩარხვის და ქლიბვის ნარჩენები	მყარი	არა	R4	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
12 01 21	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომელსაც არ ვხვდებით 12 01 20 პუნქტში (აბრაზიული ქვები)	მყარი	არა	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
13 01 11*	სინთეტური ჰიდრავლიკური ზეთები	თხევადი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
13 01 13*	სხვა ჰიდრავლიკური ზეთები	თხევადი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	თხევადი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
13 03 08*	სინთეტური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	თხევადი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
13 03 10*	სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	თხევადი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	მყარი	არა	R3	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	R3	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	არა	R4	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას

	ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით				
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	მყარი	არა	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	მყარი	არა	R12	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
16 01 07*	ზეთის ფილტრები	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
16 02 13*	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
16 06 01*	ტყვიის შემცველი ბატარეები	მყარი	დიახ	D9	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	R13	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
17 05 05 *	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (ნავთობის ნახშირწყალბადებით	მყარი	დიახ	R13	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას

	დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი)				
20 01 21*	ფლურესცენციული მიწები და სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები	მყარი	დიახ	D9	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
20 01 35*	წუნდებული ხელსაწყოები, გარდა 20 01 21 და 20 01 23 პუნქტებით გათვალისწინებული, რომლებიც შეიცავენ სახიფათო კომპონენტებს	მყარი	დიახ	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა	D1	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას
20 03 04	სეპტიკური ავზის ნალექი	მყარი	არა	D10	გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას

5.6 ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომები და სწავლების ღონისძიებები

წარმოქმნილი ნარჩენების უსაფრთხო მართვისთვის (განსაკუთრებით სახიფათო) კომპანია მიიღებს გარკვეულ ზომებს და დასაქმებული პერსონალისთვის, ნარჩენების მართვის საკითხებში, უზრუნველყოფს შემდეგ ღონისძიებებს:

- სახიფათო ნარჩენების მართვისას პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ნარჩენების მართვა მოხდება იმ პირების მიერ, რომლებსაც გავლილი ექნებათ შესაბამისი სწავლებები ნარჩენების მართვის სფეროში;
- კომპანიაში ახლად დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდება შესაბამისი სწავლება ნარჩენების მართვის საკითხებში;
- ავარიული დაღვრებზე/სიტუაციებზე დროული რეაგირების მიზნით ნარჩენების მართვაში ჩართულ პირებს პერიოდულად ჩაუტარდებათ სათანადო ინსტრუქტაჟი;
- ნარჩენების უსაფრთხო მართვის მიზნით, კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი ან უფლებამოსილი პირი ჩაატარებს ნარჩენების მართვის პერიოდულ მონიტორინგს;
- კომპანიის უფლებამოსილი პირი/პირები გააკონტროლებენ კონტრაქტორ კომპანიებზე ნარჩენების გადაცემის პროცედურას- ნარჩენების გადაცემიდან, საბოლოო განთავსებამდე;
- ნარჩენების მართვაში ჩართული პერსონალი ინფორმირებული იქნება ნარჩენების მართვის კოდექსში, ან კოდექსიდან გამომდინარე დადგენილებებში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი სახიფათო ნარჩენების მოპყრობისა და მართვის საკითხებში;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილებში გაკონტროლდება უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა და საკვების მიღება;
- ხანძარსა და სახიფათო ნარჩენების შეგროვების ადგილები აღჭურვილი იქნება ხანძარქრობის საშუალებებით.
- პერსონალი, რომელიც დაკავებული იქნება ნარჩენების მართვით ეცოდინება ნარჩენების თვისებები და ხანძარქრობის წესები;
- აუცილებელია, პერსონალმა იცოდეს გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების ცნობა, რომლებიც დატანილი იქნება ნარჩენისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე, მასალებზე და სხვ.

5.7 ინფორმაცია პირების/კომპანიების შესახებ, რომელთაც ნარჩენების გადაეცემათ შემდგომი მართვისთვის

პესის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები შემდეგი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე კომპანიებს. პროექტის განხორციელებამდე ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის კომპანიებთან, რომელთა შესახებ ინფორმაცია აისახება განახლებულ ნარჩენების მართვის გეგმაში და შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საჭიროების შემთხვევაში განახლდება ცხრილში 5.5.1 მოცემული აღდგენა/განთავსების კოდები.

შენიშვნა: ნარჩენების მართვის გეგმაში წარმოდგენილი ნარჩენების რაოდენობა და სახეობა შესაძლოა შეიცვალოს უშუალოდ პროექტის განხორციელების ეტაპზე, რაც ასახული იქნება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განახლებულ ვერსიაში.